საქართველოს დღეები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

მეგობრობა — ჩვენი ქვეყნის გალავანი

როგორც ვიუწყებოდით საბჭოთა საქართველოს ხვდა პატივი დაასრულოს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი 15 მოძმე რესპუბლიკის ექსპოზიციები.

საქართველოს დღეებში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში ჩავიდა ჩვენი რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. ნ. ენუქიძე.** დელეგაციის შემადგენლობაში მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის წარმომადგენლებთან ერთად არიან ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები, სახელოვანი სპორტსმენები.

ტრადიციული პურითა და მარილით შეხვდა ჩვენი დედაქალაქი, გმირი მოსკოვი საქართველოს წარგზავნილთ. სტუმრებმაც სამხრეთული სითბო ჩაიყოლეს თან და უკან დაიხია მოსკოვურმა დეკემბრის სუსხმა, ზეიმსა და სიხარულს დაუთმო გზა.

პირნათელი და ხელდამშვენებული ჩავიდა ამ დღესასწაულზე საქართველოს სს რესპუბლიკა და ჩვენი მუშებისა და სოფლის მშრომელების მიღწევების, ქართველი მეცნიერებისა და კულტურის წარმატებების, უმაგალითო სოციალური ძვრების, რესპუბლიკის მცხოვრებთა . მატერიალური კეთილდღეობის ზრდის შესახებ უპატაკა ქვეყანას. ეს ყველაფერი ხომ საბჭოეთის ყველა მოძმე რესპუბლიკის ყოველდღიური ყურადღებით, მხარდაჭერითა და ფასდაუდებელი დახმარებით გახდა შესაძლებელი.

ზიარია ჩვენი წარმატებაცა და წარუმატებლობაც. ამიტომ იყო ასე გულწრფელი მოსკოველი მასპინძლების მიერ მიტინგზე ნათქვამი სიტყვები: „სულითა და გულით მივესალმებით და ვულოცავთ თქვენი რესპუბლიკის დელეგაციას, მისი სახით კი მთელს მოძმე ხალხს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით დაჯილდოებას. ეს ჯილდო საქართველოს მიენიჭა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად".

ამიტომ იყო ასე გულწრფელი ის სიხარული, რომელიც სტუმარმასპინძელთა შეხვედრის უმალ დამყარდა. ვნუკოვოს აეროპორტში — საქართველოს დელეგაციას ძველი მეგობრები, ძერჟინსკისა და ბაბუშკინის რაიონების ათასობით მუშა, მოსამსახურე, მეცნიერი შეეგება.

წინ კიდევ ბევრი საინტერესო შეხვედრაა, მრავალი ნაცნობობაა.

ქვეყნის მთავარ გამოფენაზე დაიწყო საქართველოს დღეები. ორმხრივად საინტერესო და სასარგებლო იქნება ეს დღეები. ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობა ხომ ასე ხანგრძლივი და ნაცადია!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 239
(7300)

15
1982 წ.
დეკემბერი,
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

როცა მთელი რესპუბლიკა სტადიონია

მთავარი ჯილდო — ჯანმრთელობა!

კვირას, 12 დეკემბერს, გაიმართა დიდი სპორტული ზეიმი — პროფტექგანათლების სისტემის მოსწავლეთა ერთიანი ფიზკულტურული დღე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

ღონისძიება (მისი დევიზი იყო „ყველანი სტარტზე!") პირველად ჩატარდა. ამ დღეს საქართველოს 154 პროფტექსასწავლებლის მოსწავლეთა სტუმრები იყვნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საბაზო დაწესებულებების სპორტსმენები, სპორტისა და შრომის ვეტერანები, სოციალისტური შრომის გმირები ე. სოლომონია, შ. ფირცხალავა, ოლიმპიური და არაერთგზის მსოფლიო ჩემპიონი ვ. ბალავაძე, მსოფლიო ჩემპიონები თ. ყაზარაშვილი, ლ. ხაბელოვი (ჭაბუკებში), მათთან ერთად მოსწავლეთა მშობლები.

საქართველოს სსრ პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტისა (თავმჯდომარე ს. რიგვავა) და სპორტსაზოგადოება „შრ. რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს (თავმჯდომარის მოადგილე ა. შენგელია) თაოსნობით მოწყობილი ეს ღონისძიება ერთ-ერთია „მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილების შესასრულებლად სპორტსაზოგადოების მიერ ჩატარებულ უამრავ ღონისძიებათა შორის. მასში მონაწილეობა მიიღო 70 ათასმა ფიზკულტურელმა.

რბენა — ჩვენი სიხარულია...

ახლახან ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა მორბენლის საკავშირო დღე, სადაც თავი გამოიჩინეს ცხაკაიას № 139 საშუალო პროფტექსასწავლებლის მორბენლებმა.

ეს სასწავლებელი სულ ორი წლისაა, მაგრამ დირექტორმა ნო-

(დასასრული მე-2 გვ.).

* * *

სურათებზე: ვაჟები 100-მეტრიანი დისტანციის გარბენისას; თბილისის № 5 საშუალო პროფტექსასწავლებლის მოსწავლეები ტურისტულ შეჯიბრებაზე.

ე. ხუცურაულისა და ვ. ბუკიას ფოტოები.



33 საუკეთესო

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია განვლილი სეზონის შედეგების მიხედვით:

მეკარეები: 1. რინატ დასაევი, 2. ვიაჩესლავ ჩანოვი, 3. ვიქტორ ჩანოვი.

მარჯვენა მცველები: 1. სერგეი ბოროვსკი, 2. ვლადიმერ ლოზინსკი, 3. ნოდარ ხიზანიშვილი.

მარჯვენა ცენტრალური მცველები: 1. ალექსანდრე ჩივაძე, 2. მიხეილ ოლიფერენკო, 3. ვიქტორ იანუშევსკი.

მარცხენა ცენტრალური მცველები: 1. სერგეი ბალტაჩა, 2. ოლეგ რომანცევი, 3. სერგეი ალეინიკოვი.

მარცხენა მცველები: 1. ანატოლი დემიანენკო, 2. იური კურნენინი, 3. ანატოლი დავიდოვი.

მარჯვენა ნახევარმცველები: 1. ლეონიდ ბურიაკი, 2. ფედორ ჩერენკოვი, 3. მიხეილ სოკოლოვსკი.

ცენტრალური ნახევარმცველები: 1. ვლადიმერ ბესონოვი, 2. იური პუდიშევი, 3. სერგეი შავლო.

მარცხენა ნახევარმცველები: 1. ალექსანდრე პროკოპენკო, 2. ანდრეი ბალი, 3. ვიტალი დარასელია.

მარჯვენა გარემარბები: 1. იგორ გურინოვიჩი, 2. ვადიმ ევტუშენკო, 3. გრიგოლ ცაავა.

ცენტრალური თავდამსხმელები: 1. ხორენ ოჰანესიანი, 2. ანდრეი იაკუბიკი, 3. ალექსანდრე ტარხანოვი.

მარცხენა გარემარბები: 1. ოლეგ ბლოხინი, 2. სერგეი როდიონოვი, 3. პეტრე ვასილევსკი.

33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში ო. ბლოხინი შევიდა მეთერთმეტედ და, ამასთან, მუდამ პირველ ნომრად, ლ. ბურიაკი — მერვედ, ვ. ბესონოვი — მეექვსედ, ვ. დარასელია და ს. შავლო—მეხუთედ, რ. დასაევი, ა. დემიანენკო, ვ. ლოზინსკი, ხ. ოჰანესიანი, ა. ჩივაძე და ს. ბალტაჩა — მეოთხედ. ამ მაჩვენებლით რეკორდსმენია მოსკოვის „დინამოს" ყოფილი მეკარე ლევ იაშინი რომელიც 13-ჯერ შედიოდა 33 საუკეთესოს სიაში.



როცა მთელი რესპუბლიკა სტადიონია

მთავარი ჯილდო — ჯანმრთელობა!

დასასრული

დარ კურდღელიამ გვერდში ამოიყენა სპორტის ენთუზიასტები საწარმოო სწავლების ოსტატები სვეტლანა ვახანია, გოჩა დავითაია, ავთო კაკაჩია, მათემატიკის მასწავლებელი ომარ მიქაძე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლამზირა რეკვავა.

მომავალმა მშენებლებმა თვითონ გააკეთეს 1200-მეტრიანი სარბენი ბილიკი, დაგეგმილი აქვთ სასწავლებელში რბენის მოყვარულთა კლუბის გახსნა.

ერთ კილომეტრზე რბენაში ყველას აჯობეს: მშთ მრავალჭიდში ქალაქის ნაკრების წევრმა ბესიკ გოგოლმა, სწავლის ფრიადოსანმა მაია ნინუამ, გოჩა კურდღელიამ, მაია წოწონავამ და სხვებმა.

თბილისის № 23 პროფტექსასწავლებლის მოსწავლეებმა (ორჯერ იყვნენ ქვეყნის უძლიერესნი ტურიზმში) კროსი ჩაატარეს თბილისის 136-ე საშუალო სკოლის წარმომადგენლებთან ერთად. არავის წაუგია — გაიმარჯვა ჯანმრთელობამ. სასწავლებლის დირექტორი რ. სოკურაშვილი პირადად ამოწმებს ხოლმე სექციების მუშაობას, პედსაბჭოს სხდომებზე ხშირად იხილავს ფიზკულტურისა და სპორტის საკითხს. სწორედ ამიტომ სასწავლებელმა II ადგილი დაიკავა საზოგადოების სპარტაკიადაზე (ზ. რუხაძის სახელობის ცნობილი № 36 პროფტექსასწავლებლის შემდეგ).

სასწავლებლის X^4 ჯგუფში (საწარმო სწავლების ოსტატი სვეტლანა სუხიტაშვილი) 33 გოგონაა (მომავალი მრთველები). კონკურსში „ჩემი სამშობლო — სსრ კავშირი" გამარჯვებისთვის გოგონებმა იანვარში მოსკოვში გამგზავრების უფლება მოიპოვეს: ჯგუფში ნახევარზე მეტი მეორეთანრიგოსანია. სამმა მათგანმა (ლ. ბადერტდინოვამ, ე. ზენკინამ, გ. სიპლენკომ) ახლახან მონაწილეობა მიიღო ერევანში გამართულ სკკპ და საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ტურისტულ ლაშქრობაში გამარჯვებულთა XI საკავშირო შეკრების ფინალში.

...ზესტაფონის № 144 ტექნიკურ სასწავლებელში რბენის პროგრამის სულისჩამდგმელები იყვნენ მოსწავლეთა მშობლები, რომლებიც ადრე ფეხბურთს თამაშობდნენ — ექიმი დ. გოქსაძე და ტაქსის მძღოლი ვ. ხითარიშვილი.

ყველა, 10 სპორტული სექციის წარმომადგენლებმა ჩააბარეს მშთ კომპლექსის ნორმატივი.

...აგიტაცია მაღალ დონეზე ჩაატარეს მცხეთაში თბილისის № 24 პროფტექსასწავლებლის წარმომადგენლებმა. არმაზის ხეობაში, 147 მოსწავლე-ტურისტმა სასწავლებლის დირექტორის, ყოფილი მოჭიდავის თენგიზ ლომიძის და „შრ. რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს მშთ კომპლექსის მეთოდისტის ნარგიზა ბენდიანიშვილის ხელმძღვანელობით მოაწყვეს სპორტის ზეიმი, კროსი, გამართეს სახელდახელო კონცერტი. ანალოგიური ღონისძიება ჩატარდა ტურიზმში თბილისის № 5 პროფტექსასწავლებელშიც (დირექტორი ნ. გუბელაძე).

მამის კვალდაკვალ

საკავშირო ჯილდოები 5-ჯერ მოიპოვა გურჯაანის რაიონის ველისციხის № 13 სოფლის პროფტექსასწავლებელმა (დირექტორი ვ. მახარობლიშვილი). ამ სასწავლებელს რესპუბლიკაში ერთ-ერთ პირველთაგანს მიეკუთვნა „მშთ-ს საპატიო ნიშანი". მე არაერთხელ ვყოფილვარ ამ სასწავლებელში, როგორც რესპუბლიკური საბჭოს მეთოდისტი, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩამოსულ სტუმართა მეგზური და ყოველთვის მაოცებდა ფიზაღზრდის ხელმძღვანელის, უბერებელი ავთანდილ ჯალაღონიას საოცარი შრომისმოყვარეობა. (უკვე 29 წელია, რაც იგი ჩვენს სისტემაში მუშაობს).

სასწავლებელში შექმნილია ჯანმრთელობის კომპლექსი, რომლის გამტარუნარიანობა დღეში 1800 კაცს შეადგენს (სპორტდარბაზი, სტადიონი, მშთ-ს ქალაქი, სარბენი ტრასა, ტანვარჯიშული ქალაქი და სხვადასხვა სექტორი, ორმო ქართული ჭიდაობისათვის და სხვ.). ამიტომ გასაკვირი როდია, რომ 515 მოსწავლიდან თითოეულს აქვს ერთი, ორი ან სამი სპორტული თანრიგი!

12 დეკემბრის სპორტულ ზეიმზე გაგვახარეს ქართული ჭიდაობის წარმომადგენლებმა, საწარმოო სწავლების ოსტატებმა ვ. გურგენიშვილმა, გ. ხარატოვმა, მოსწავლეებმა, მომავალმა მექანიზატორებმა არჩილ მაისურაძემ, ალბერტ წათიაშვილმა, მიხეილ ძოძიშვილმა, თამაზ წიკლაურმა, აკაკი მთიულიშვილმა, მიხეილ მღებრიშვილმა.

სასწავლებელში ერთიანი ფიზკულტურული დღის ორგანიზებულად ჩატარების სულისჩამდგმელი იყო ფიზკულტურის ახალგაზრდა მასწავლებელი... რევაზ ჯალაღონია. დიახ, თქვენ არ შემცდარხართ, ეს გახლავთ ფიზაღზრდის ხელმძღვანელის ა. ჯალაღონიას ვაჟი.

მამა და შვილი გვერდიგვერდ მუშაობენ — უკეთესი საჩუქარი რა შეიძლება იყოს მშობლისთვის!

სიტყვა — ცნობილ ექიმს...

ცნობილი ექიმი-ფსიქოლოგი ვლადიმერ ლევი თავის წიგნში „საუბარი წერილებში" წერს: „ნამდვილი სპორტსმენი ქულებისა და მედლების მოხვეჭის მანიაკი როდია, იგი რაინდი, ჰარმონიის ფანატიკოსია, უშიშარი და მრისხანე მებრძოლია, მაგრამ უხარია მისი დამმარცხებელი მეტოქის გამარჯვება. ნამდვილი სპორტსმენი მუდამ სპორტზე მაღლა დგას".

იგივე თამამად შეიძლება გავიმეოროთ ჩვენი სპორტსაზოგადოების აღზრდილზე მსოფლიოს ჩემპიონზე, სპორტის დამსახურებულ ოსტატ „კლასიკოს"-მოჭიდავე თემო ყაზარაშვილზე, თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონზე ლერი ხაბელოვზე, ევროპის პირველობის პრიზიორზე, მოკრივე იური სავოჩკინზე, საკავშირო პირველობების გამარჯვებულებზე გია მარმარაშვილზე (აკრობატიკა), იური კორუევზე (მშთ მრავალჭიდი), სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო შეჯიბრება „დრუჟბაში" სამთოსათხილამურო სპორტში გამარჯვებულ გია ორჯონიკიძეზე და სხვებზე...

ისინი რიგითი ფიზკულტურელები იყვნენ და დიდი სპორტისკენ პირველი ნაბიჯი ჩვენს პროფტექსასწავლებელში გადადგეს. დაიწყეს დილის ტანვარჯიშით, შემდეგ სასწავლებლის სპორტულ სექციებში გადაინაცვლეს, ამას მოჰყვა სპორტსაზოგადოების ნაკრები, საკავშირო ნაკრები.

ამ სპორტსმენებმა ფეხი აიდგეს ისეთივე მასობრივ შეჯიბრებებში, როგორიც 12 დეკემბერს გაიმართა. მოგაგონებთ, რომ ჩვენი სპორტსაზოგადოება, რომელიც 1943 წელს შეიქმნა, მოწოდებული იყო საქართველოს სსრ პროფტექსასწავლებლებს შორის გაეშალა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი სპორტულ-მასობრივი, ტურისტული და სამხედრო-გამოყენებითი ყოველმხრივი მუშაობა, პროფტექგანათლების სისტემის საშუალო განათლებაზე გადასვლის (1975-79 სასწავლო წელი) შემდეგ ჩვენთან ყოველწლიურად 2-3 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 25-30 სპორტის ოსტატი მზადდება. ეს დიდი წარმატებაა.

ე. ბენდუქიძე,
სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" მეთოდისტი.

• • •

სურათზე: ყუმბარის ტყორცნაში მშთ ნორმატივებს აბარებენ მოსწავლე სპორტსმენები.
ე. ხუცურაულის ფოტო.

ბავშვი ჯანმრთელი რომ იყოს

ბავშვის ფიზიკური აღზრდა და სპორტი დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და საჭირბოროტო პრობლემაა, რომლის გადაწყვეტაზე ბევრი ორგანიზაცია და სპორტული დაწესებულება ზრუნავს. პირველი შემაშფოთებელი სიგნალები პედაგოგებმა, მშობლებმა და მეცნიერებმა მოგვაწოდეს. აღმოჩნდა, რომ ჩვენს ეპოქაში, როცა სულ უფრო იკიდებს ფეხს კომფორტი, ადამიანი გადაეჩვია მოძრაობას. დიახ, ჩვენ შევეჩვიეთ ლიფტებს, ავტომანქანებს, დავკარგეთ მოძრაობის სურვილი, ტელევიზორი ხომ პირდაპირ სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა. ჯერჯერობით ზუსტად არავის გამოუთვლია თუ რა ზიანს აყენებს უმოძრაობა ადამიანის ჯანმრთელობას, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი მეტისმეტად მავნეა.

ტექნიკურ პროგრესს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ხომ შეიძლება ეს კეთილი, სასარგებლო პროცესი ბოლომდე სასიკეთოდ ვაქციოთ? აი, სად შეიძლება გაგვიწიოს უდიდესი სამსახური ფიზკულტურამ და სპორტმა, განსაკუთრებით ბავშვის ვარჯიშმა. სწორედ ამ საქმეს ემსახურება თბილისის ბავშვთა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერი, რომელიც ბავშვთა მასობრივი ფიზკულტურის და სპორტის დანერგვას და მისი განვითარების საქმეს ემსახურება. იგი მეთოდურ-პრაქტიკულ დახმარებას უწევს თბილისის სკოლამდელ დაწესებულებებს და სკოლებს. ბავშვის ფიზიკური აღზრდა იწყება სკოლამდელ დაწესებულებებში. ჯანმრთელობის და განათლების მუშაკებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ ეს კეთილშობილური საქმე მოგვარდეს. სკოლამდელ ასაკში ფიზიკური აღზრდის პროგრამაში შედის ბავშვისათვის შესაფერისი გონებრივი და ფიზიკური დატვირთვის, კვების, ძილის და დასვენების რეჟიმის მიზანშეწონილი მოწესრიგება, ამ საერთო ღონისძიებაში მთავარი ადგილი უჭირავს საგანგებოდ ბავშვისათვის დამუშავებულ ფიზიკურ ვარჯიშებს; სკოლამდელ დაწესებულებებში ტარდება სხვადასხვა სახის ფიზიკური ვარჯიშები: დილის გამამხნევებელი ვარჯიში, ფიზიკური კულტურის გაკვეთილები კვირაში 2-ჯერ (განსაკუთრებული პროგრამის მიხედვით, ასაკის გათვალისწინებით), მოძრავი თამაშობანი ფიზკულტურული ელემენტების გამოყენებით, გასეირნება. მედდების მიერ საბავშვო ბაგებში ტარდება პასიური ტანვარჯიში და მასაჟი. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ორგანიზმის გამოწრთობისათვის ბუნებრივი საშუალებების — ჰაერის, წყლისა და მზის გამოყენებას. სამედიცინო პერსონალი მჭიდრო კავშირში უნდა იმყოფებოდეს დაწესებულების მთელს კოლექტივთან და მშობლებთან, და თუ ყველაფერი ეს სკოლამდელ დაწესებულებებში სრულად განხორციელდება, ბავშვი ჯანმრთელი და ფიზიკურად ძლიერი განაგრძობს გონებრივ და ფიზიკურ შრომას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლის ფიზიკური აღზრდა ხორციელდება: კლასში, კლასგარეშე და სკოლისგარეშე. სწორედ აქ ხდება მოსწავლის სწორი ფიზიკური აღზრდა და სპორტული დაოსტატება.

უკანასკნელ პერიოდში უკეთ ტარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში წესად იქცა დილის გამამხნევებელი ვარჯიში, დიდი დასვენება — მოძრავი თამაშობების გამოყენებით, ფიზკულტურული წუთები, გაუმჯობესდა ფიზკულტურის გაკვეთილის ხარისხი და კლასგარეშე ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა. თბილისის ყველა რაიონის სკოლებში გახსნილია კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, ფეხბურთის სპეციალური სპორტული ჯგუფები.

ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოსაწესრიგებელია მერხების ნომერაცია და კაბინეტური სისტემა. სწავლების კაბინეტურ სისტემაზე სკოლების გადასვლა უნდა მოხდეს სანეპიდსადგურთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ. ამით უზრუნველვყოფთ სასწავლო პროცესის სწორ ორგანიზაციას, დავიცავთ ჰიგიენურ მოთხოვნებს.

ბავშვის ფიზიკურ აღზრდასა და ბავშვთა სპორტის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეაქვს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო-მეთოდურ რესპუბლიკურ ცენტრს და მის მეთოდურ განყოფილებას, რომელსაც ხელმძღვანელობს გიორგი მერკვილაძე, მის სახელთან არის დაკავშირებული პირველი სპორტული სკოლა-ინტერნატის, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების გახსნა, ფიზიკური კულტურის სახელმძღვანელოს გამოშვება დაწყებითი კლასებისათვის, სკოლის დირექტორის ცნობარის შედგენა მოსწავლის ფიზიკური აღზრდის შესახებ; ე. წ. დიდი დასვენება, „200 თამაში", მოძრავი თამაშობანი და ბევრი სხვა. კვარტალში ერთხელ გამოდის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საინფორმაციო მეთოდური ბიულეტენი, სადაც იბეჭდება მეთოდური წერილები ბავშვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტული წვრთნის შესახებ. თბილისის ბავშვთა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერს ამ მიზნით დასახული აქვს ახალი გეგმები. დიდი ყურადღება ექცევა სკოლამდელ დაწესებულებებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვის სწორ ფიზიკურ აღზრდას და მასზე საექიმო კონტროლის დაწესებას.

საექიმო კონტროლის განყოფილებაში ბავშვის ფიზიკური აღზრდის მიზნით შეიქმნა სპორტული მედიცინის ექიმთა ბრიგადები, დაწესდება ზუსტი საექიმო კონტროლი ბავშვის ფიზიკურ აღზრდაზე და ბავშვთა სპორტის თანამედროვე სამედიცინო-ბიოლოგიური საშუალებებით მომსახურებაზე.

როგორც ცნობილია, თანამედროვე სპორტისათვის დამახასიათებელია ინტენსიური, დიდი ფიზიკური დატვირთვა, სპორტულ პრაქტიკაში სულ უფრო მკვიდრდება დღეში ორჯერადი, სამჯერადი, საწვრთნო მეცადინეობები, ეს კი თავის მხრივ დიდ მოთხოვნებს უყენებს სპორტსმენის ორგანიზმს, ხშირია გადაღლა და სპორტული ტრავმები. სპორტის ზოგიერთ გაახალგაზრდავებულ სახეობებში, როგორიცაა, მაგალითად, სპორტული ტანვარჯიში, ცურვა, წყალში ხტომა და სხვა, ანგარიშს არ უწევენ ბავშვთა სპორტის თავისებურებებს, ამიტომ საჭიროა გატარდეს მკაცრი საექიმო კონტროლი შრომისუნარიანობის გაძლიერებისა და დაღლის მოხსნის საშუალებების გამოყენებით; დროა ბავშვთა სპორტში დამკვიდრდეს აღდგენითი საშუალებების გამოყენება: პედაგოგიური, სამედიცინო-ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით.

ამ მიზნით თბილისის ბავშვთა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის სარეაბილიტაციო განყოფილებაში უნდა გაიხსნას 15-20 საწოლიანი სპორტული რეაბილიტაციის განყოფილება. აქ ძირითადად მოთავსდებიან თბილისის და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების წარმომადგენლები, რომლებიც სტაციონარულად გაივლიან დისპანსერიზაციას, ჩაუტარდებათ კლინიკური გამოკვლევები, საჭირო შემთხვევაში — მკურნალობა. ნაკრები გუნდის მოსწავლე სპორტსმენები უნდა იყვნენ აბსოლუტურად ჯანმრთელი, არც ერთ მათგანს არ უნდა ჰქონდეს ქრონიკული ინფექციის კერა (კარიესი, ტონზილიტი, მიკროტრავმა და სხვ.).

სპორტსმენის შრომისუნარიანობის გაძლიერებისა და დაღლის მოხსნის საშუალებებიდან გამოყენებული იქნება თანამედროვე სამედიცინო-ბიოლოგიური მეთოდები: 1. რაციონალური კვება; 2. ვიტამინები და ფარმაკოლოგიური პრეპარატები; 3. ცილოვანი პრეპარატები და სპორტული სასმისი; 4. ადაპტოგენები და პრეპარატები, რომლებიც მოქმედებენ ენერგეტიკულ პროცესებზე; 5. ოქსიგენოთერაპია და ჟანგბადოვანი კოკტეილები; 6. ფიზიო და ჰიდროპროცედურები; 7. სპორტული მასაჟი; 8. ავტოგენური წვრთნა; 9. სამკურნალო გამახურებელი მალამოები.

სპორტული რეაბილიტაციის განყოფილება საწვრთნო შეკრებებისა და შეჯიბრებების პერიოდში ორგანიზაციას გაუკეთებს საქართველოსა და თბილისის სპორტული სკოლების მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამედიცინო-ბიოლოგიურ მომსახურებას სპორტის სახეობების მიხედვით. ნაკრები გუნდის ექიმები იხელმძღვანელებენ სამედიცინო ბიოლოგიური მომსახურების წლიური გეგმით, რომელსაც შეადგენენ საწვრთნო შეკრებებისა და შეჯიბრებების განრიგის გათვალისწინებით.

თბილისის ბავშვთა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის სამკურნალო ფიზკულტურის განყოფილება მეთოდურ-პრაქტიკულ დახმარებას უწევს თბილისის 14 ბავშვთა პოლიკლინიკას, რომელშიც გახსნილია სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტები, სადაც ასობით ბავშვი მკურნალობს სხვადასხვა მეთოდებით.

თ. ქუთათელაძე,
თბილისის ბავშვთა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის მთავარი ექიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„დიდი ათეული"

პრაღის ჟურნალმა „სტადიონმა" ასეთი სათაურით გამოაქვეყნა ვრცელი წერილი წარსულის გამოჩენილი მძლეოსნების შესახებ.

ჯესი ოუენსი (აშშ) 21 წლის ასაკში ყველასათვის უცნობი სპორტსმენი იყო. გავიდა სულ ერთი წელი და 1935 წელს ეს ზანგი ჭაბუკი მძლეოსნობის ისტორიაში უდიდესი სენსაციის ავტორი გახდა — ენ არბორში მან ერთბაშად ოთხი მსოფლიო რეკორდი მოხსნა. 23 წლისა მონაწილეობდა ბერლინის მეთერთმეტე ოლიმპიურ თამაშებში, სადაც ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა.

ფინელი **პაავო ნურმი** იმით გამოირჩეოდა, რომ მნიშვნელოვან შეჯიბრებებში მესამე ადგილზე დაბლა არ ჩამოსულა. მას ოლიმპიური მედლების „კოლექციონერს" უწოდებდნენ. ოლიმპიურ თამაშებში პირველად 1920 წელს ანტვერპენში გამოვიდა. მაშინ იგი 23 წლისა იყო. სხვადასხვა დისტანციაზე სირბილში სამი ოქროს მედალი მოიპოვა, ოთხი წლის შემდეგ კი პარიზის ოლიმპიადაზე 5 ოქროს მედალი გაინაღდა. იგი გრძელ მანძილებზე რბენაში შეუდარებელი იყო. მის კოლექციას 1928 წელს ამსტერდამის ოლიმპიადაზე კიდევ ორი ოქროს მედალი დაემატა.

განთქმული ჩეხოსლოვაკიელი მორბენალი **ემილ ზატოპეკი** ძალიან მალე იქცა ლეგენდად. პირველად მსოფლიოს რეკორდსმენი 1949 წელს გახდა. გავიდა ერთი წელი და ბრიუსელში დიდ ტრიუმფს მიაღწია. 1951 წელს, პირველმა მძლეოსნობის ისტორიაში, დაამტკიცა, რომ ადამიანს ძალუძს ერთ საათში 20 კილომეტრზე მეტი გაირბინოს! ზატოპეკის ტრიუმფი 1952 წელს ჰელსინკში, 1954 წელს კი პარიზში განმეორდა. იგი გაცილებით ახალგაზრდა სპორტსმენებსაც კი სჯაბნიდა.

ირენა შევინსკა (პოლონეთი) იყო და ახლაც მსოფლიოს მძლეოსნობის პირველ „ქალბატონად" ითვლება. ტოკიოს ოლიმპიადაზე 18 წლისამ ვერცხლის მედალი მოიპოვა. 15 წლის მანძილზე მსოფლიოში ბადალი არ ჰყავდა. ოთხი ოლიმპიადისა და ევროპის ხუთი პირველობის ოქროს მედლებს დაეუფლა. მათ შორის ყველაზე უკეთეს მიღწევად მაინც მეხიკოს ოლიმპიადაზე გამოსვლა ითვლება.

ლასე ვირენი (ფინეთი) ცნობილი გახდა 1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიადაზე 23 წლის პოლიციელმა 10 კმ რბენაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა. იგი პირველი იყო 5 კმ რბენაშიც. მონრეალში ჩავიდა, როგორც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მაგრამ ვერ შეძლო მოეხსნა ჰელსინკში დამყარებული ზატოპეკის მიღწევა, ვინაიდან, მარათონულ რბენაში მხოლოდ მეხუთე იყო.

ვიქტორ სანეევი თითქმის უცნობი სპორტსმენი იყო, როცა 1967 წელს კიევში ევროპის პირველობის ფინალში კონტინენტის ყველა „ვარსკვლავს" აჯობა. გავიდა ერთი წელიც და მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედალი მოიპოვა. მისი დიდი მიღწევები მიუნხენისა და მონრეალის ოლიმპიადაზე საყოველთაოდ არის ცნობილი. მოსკოვში კი „ვერცხლი" ხვდა. ევროპის პირველობებზე ორჯერ ოქროს, ორჯერაც ვერცხლის მედალოსანი იყო. მთელი 14 წლის მანძილზე მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა რიცხვში შედიოდა და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მძლეოსნის სახელიც მოიპოვა.

ალფრედ ორტერი (აშშ) 20 წლისა ჩავიდა მელბურნის (1956) ოლიმპიურ თამაშებზე. იგი წინასწარ სრულ აუტსაიდერად ითვლებოდა ბადროს მტყორცნელთა შორის, ფავორიტები იყვნენ მისი თანამემამულენი — გორდიენი და იტალიელი კონსოლინი, მაგრამ ნურას უკაცრავად! ვერც ერთი და ვერც მეორე ორტერის ნამდვილი მეტოქე ვერ აღმოჩნდა. დებიუტანტმა ოქროს მედალი მოიპოვა და მთელი სპორტული სამყარო გააოცა! ოთხი წლის შემდეგ რომში სხვა ფავორიტებს აშკარად აჯობა და ისევ პირველი იყო, იგივე გაიმეორა 1964 წელს ტოკიოში, აი, ახალი, მეხიკოს ოლიმპიადაც: გამარჯვებული იქაც ალფრედ ორტერი იყო!

ჯიმ ტორპე (აშშ) 1912 წელს სტოკჰოლმის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორი ოლიმპიადის საზეიმო დახურვისას შვეციის მეფემ ოქროს ბეჭედით დაასაჩუქრა და უთხრა: „მსოფლიოში საუკეთესო მძლეოსანი ხარ!" ეს ლიტონი სიტყვები არ ყოფილა. ტორპემ ორი ოქროს მედალი მოიხვეჭა ხუთჭიდსა და ათჭიდში. მოიპოვა პირველი ადგილები და საგრძნობლად ჩამოიტოვა მეტოქეები. მალე ისე მოხდა, რომ ტორპეს მოყვარულთა შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება ჩამოართვეს და თანაც სამუდამოდ! რატომ? იმიტომ, რომ ბეისბოლის გუნდმა, რომელშიც იგი გამოდიოდა, გასამრჯელოდ მიიღო 100 დოლარი! ოლიმპიური ჩემპიონი 1953 წელს გარდაიცვალა.

ფანი ბლანკერს-კოენი (ჰოლანდია) „მფრინავ ჰოლანდიელად" იწოდებოდა. თავისი კარიერა დაიწყო 1938 წელს ევროპის პირველობაზე და ორი ვერცხლის მედალიც დაიმსახურა. ესოდენ წარმატებით დაწყებული სპორტული კარიერა მეორე მსოფლიო ომმა შეწყვიტა, როცა ომი დამთავრდა, ფანი ბლანკერს-კოენი უკვე 28 წლისა იყო, სამი შვილის დედა, მაგრამ სარბენ ბილიკებს მაინც დაუბრუნდა. ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში 4 ოქროს მედალი მოიპოვა. ევროპის პირველობაზე 8 მედალს დაეუფლა, აქედან ხუთი — ოქროს, მეტისმეტად მრავალმხრივი სპორტსმენი იყო, სპრინტერი ხუთჭიდელი ჰოლანდიის 60-გზის (!) ჩემპიონი გახლდათ.

აბიბე ბიკილამ (ეთიოპია) სახელი გაითქვა რომის ოლიმპიურ თამაშებში. მძლეოსანთა შეჯიბრების უკანასკნელი დღე იყო. მარათონული რბენა უძველეს „ვია აპიას" გზაზე. ეთიოპიელ გვარდიელ აბიბე ბიკილას მანამდე არავინ იცნობდა. მაგრამ წარმატება რომ შემთხვევით არ იყო, ეს მან 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებშიც დაამტკიცა. ზედიზედ ორჯერ ოლიმპიური თამაშები მარათონულ რბენაში მანამდე არავის მოუგია. ბიკილა 1968 წელს მეხიკოშიც შეეცადა რომ ოქროს მედალი მოეპოვებინა, მაგრამ ფეხის სერიოზული ტრავმის გამო ველარაფერს გახდა. აფრიკისათვის ბიკილამ ისტორიული როლი ითამაშა.

* * *

ფოტორეპროდუქციები, რომლებსაც დღეს გთავაზობთ, აღებულია ჩეხოსლოვაკიის ჟურნალ „სტადიონიდან".

• • •

სურათებზე: მარცხნიდან — რბენას ლიდერობს ე. ზატოპეკი, პ. ნურმი შეჯიბრების შემდეგ; ფინიშთანაა ი. შევინსკა; აბიბე ბიკილა; ლ. ვირენი რბენის დისტანციაზე; ვ. სანეევი ასპარეზობისას; სტარტს იღებს ჯ. ოუენსი; ა. ორტერი ტყორცნის სექტორში; ფ. ბლანკერს-კოენი (მარჯვნივ); ბირთვი ჰკრა ჯ. ტორპემ.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი

ჭაბუკთა რესპუბლიკური

ჭაბუკ ფეხბურთელთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე, რომელიც მიმდინარეობს 2 ასაკობრივ ჯგუფად: 1965-66 და 1966-67 წლებში დაბადებულთა შორის, დამთავრდა გათამაშების პირველი წრე.

შეჯიბრების მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად, ასეთი ტერიტორიული პრინციპი ხელს უწყობს სახსრების ყაირათიან ხარჯვას. აღსანიშნავია, რომ ჭაბუკ ფეხბურთელთა ეს შეჯიბრება მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იქ, სადაც ნორჩ სპორტსმენებთან მუშაობა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ, სტადიონებზე უსიამოვნო სიცარიელე სუფევს.

ცალკეული გამონაკლისის გარდა საგრძნობლად შემცირდა წესრიგის დარღვევის შემთხვევები, მაგრამ გამონაკლისიც არის. მსაჯებთან კამათისთვის გააფრთხილეს თბილისელი ფეხბურთელები მ. მელქაძე, ზ. ნაკაშიძე, თ. დეკანოსიძე, ზ. მეფარიძე, ი. წიქურიშვილი, ბათუმელი გ. ბარაბაძე, უხეში თამაშისთვის ყვითელი ბარათი დაიმსახურეს, აგრეთვე, თბილისელებმა გ. ჯანგიძემ, ა. ანდრონიკაშვილმა, გორელმა ზ. ამბოკაძემ, ბათუმელმა გ. კერძაძემ, უფრო სერიოზული დარღვევები ჰქონდათ რუსთაველ ტ. მაზმატოვსა და სოხუმელ გ. გადელიას, აგრეთვე, თბილისელ გ. კოჭალაშვილს.

იყო კალენდარულ მატჩებზე გამოუცხადებლობის შემთხვევებიც (სამტრედიის „ლოკომოტივი", გაგრის „რიწა"), რისთვისაც უდისციპლინო გუნდებს ჩაეთვალა წაგებები.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც საგანგებოდ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: კარგია, რომ ნორჩ ფეხბურთელთა მშობლები დაინტერესებას იჩენენ თავიანთი ბავშვების სპორტულ წარმატებათა მიმართ და თამაშებსაც ესწრებიან, მაგრამ ზოგიერთი მათგანი გადაჭარბებულ „ქომაგობას" იჩენს, ხელს უშლის მსაჯებს, ერევა საორგანიზაციო საქმეებში და, რაც ყოვლად დაუშვებელია, მწვრთნელთა ფუნქციებში. ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის სპორტტექნიკური კომისია იძულებული იყო ასეთი ზომისთვის მიემართა: თუ მატჩის დროს მშობლები ჩაერევიან თამაშის მსვლელობაში, ხელს შეუშლიან მწვრთნელებს და სხვა, ასეთ შემთხვევებში გუნდებს მოხსნიან გათამაშებიდან და სასჯელი მწვრთნელებსაც დაედებათ.

ჭაბუკთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მეორე წრე განახლდება 13 მარტს.

ი. ბოთორაძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი მწვრთნელი.

* * *

გათამაშების ცხრილები

1965-66 წ. წ. დაბადებულნი

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ავაზა" თბ.	8	4	3	1	25—8	11
114-ე სკ. თბ.	8	4	3	1	10—8	11
ახ. საფ სკ. თბ.	8	3	4	1	8—5	10
„სიხარული" (გან. სამ. თბ.)	7	3	3	1	17—13	9
„ლიახვი" ცხ.	8	4	0	4	14—11	8
„დინ." თბ.	7	3	2	2	15—10	8
„დილა" გორი	8	3	1	4	13—17	7
„შევარ." თბ.	8	2	1	5	19—24	5
„ლოკომ." თბ.	8	0	1	7	4—29	1

დასავლეთი ზონა

„დინ" ბთ.	8	5	1	2	15—7	11
„იმერ." ქ.	8	4	3	1	15—9	11
„კოლხ." (გაგ.)	8	3	4	1	15—7	10
„განთ." ქ.	8	3	4	1	6—5	10
„დინ." ზუგ.	8	3	3	2	11—12	9
„ნორჩ. სტად." ქუთ.	8	3	3	2	6—5	9
„ლოკ." სამ.	8	0	5	3	5—12	5
„კოლხეთი" ფ.	8	1	2	5	11—21	4
„გურია" ლან.	8	0	3	5	5—11	3

1966-67 წ. წ. დაბადებულნი

აღმოსავლეთი ზონა

„ლოკ." თბ.	11	9	2	0	31—11	20
„ინტ." თბ.	11	8	1	2	38—13	17
„კოლხეთი" (გან. ს. თბ.)	11	7	2	2	23—12	16
„დინ." თბ.	11	6	2	3	16—9	14
„ალანი" ცხ.	11	4	4	3	9—12	12
„ავაზა" თბ.	11	5	1	5	18—20	11
„ფოლ." რუს.	11	3	4	4	15—18	10
134-ე სკ. თბ.	11	4	2	5	14—19	10
ახ. საფ. სკ. თბ.	11	4	2	5	17—21	10
ასკ-„ივერია" (გან. სამ. თბ.)	11	1	4	6	12—23	6
„მარ." გორი	11	2	1	7	13—27	5
„შევარ." თბ.	11	1	0	10	15—36	1

დასავლეთი ზონა

„სპ-სკ." სოხ.	12	8	3	1	21—9	19
„ჰორ." ბ.	12	8	2	2	26—12	18
„სულ." ვანი	12	7	4	1	24—14	18
„დინ." ზუგ.	12	7	2	3	19—15	16
„გურ." ლან.	12	6	3	3	18—17	15
„ფაზ." ფოთი	12	4	5	3	13—18	13
„რიწა" გაგ.	12	5	2	5	14—13	12
„მართ." ქუთ.	12	4	2	6	12—13	10
„ლოკ." სამ.	12	3	4	5	13—13	10
„ნარ." ნატ.	12	3	2	7	16—20	8
„დინამო" ბ.	12	3	1	8	9—17	7
„განთ" ქუთ.	12	0	6	6	14—23	6
„დინ." სოხ.	12	1	2	9	6—21	4

ჩემპიონები:
„ვასკო და გამა",
„ატლეტიკო"

რიო-დე-ჟანეიროს შტატის ფინალურ მატჩს ფეხბურთში „ვასკო და გამასა" და „ფლამენგოს" შორის დაესწრო 113.000 მაყურებელი. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „ვასკო და გამამ".

მინას-ჟერაისის შტატის ფინალში „ატლეტიკო მინეირომ" (ბელუორიზონტი) ანგარიშით 2:1 სძლია „კრუზეიროს".

◆

სურათზე: ავსტრიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები გუნდების მატჩი ევროპის პირველობაზე, რომელიც ავსტრიელებმა მოიგეს ანგარიშით 2:0 (ორივე ბურთი გაიტანა შახნერმა). სურათზე აღბეჭდილია შახნერი (მუქ მაისურში), როცა იგი თავით აგზავნის ბურთს მეტოქის კარში.

◆

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭადრაკი

5 საათში—3 პარტია

თელავი, 14 დეკემბერი (ტელეფონით „ლელოს“ სპეც. კორ.). აქ გრძელდება საკავშირო ჩემპიონატის პირველი ლიგა. IX ტურში ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. თბილისელმა ოსტატმა გ. ზაიჩიკმა დაამარცხა ს. გორელოვი (მოსკოვი), ი. ანიკაევმა (მოსკოვის ოლქი) — ე. ვასიუკოვი (მოსკოვი). დაზავდნენ ვ. ჩეხოვი (მოსკოვი)— ა. ლუკინი (ლენინგრადი).

ე. უბილავა შეხვდა სსრ კავშირის ექსჩემპიონს ვ. ცეშკოვსკის (კრასნოდარი). პარტია გადაიდო ქართველი ოსტატის უპირატესობით. გადაიდო ბ. გურგენიძე —რ. ვაჰანიანის პარტიაც. აქ უპირატესობას ფლობს ერევნელი დიდოსტატი.

9 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა გაურკვეველია, რადგან 21 პარტიაა დასამთავრებელი. ამჟამად გ. ზაიჩიკს 5,5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს, რ. ვაჰანიანს, ლ. იუდასინს — 5-5 (2-2), ვ. ჩეხოვს — 4,5 (2), ა. შნეიდერს — 4 (3) ე. უბილავას — 3,5 (4), ა. ერმოლინსკის— 3,5 (2). მოჭადრაკეები გადადებულ პარტიებს დღეს დაამთავრებენ.

„როსია-82“

სოჭში გრძელდება საჭადრაკო ფესტივალის — „როსია-82“-ის პროგრამით გათვალისწინებული ტრადიციული საერთაშორისო ტურნირები. ქალთა შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოდის დიდოსტატი ე. ახმილოვსკაია (სოჭი) — 8-დან 7 ქულა. მას ქულით ჩამორჩება რსფსრ-ის ჩემპიონი ოსტატი ნ. ალიოხინა. მესამე შედეგიც საბჭოთა მოჭადრაკე ა. გრინფელდს (კალინინგრადი) აქვს — 5 (1).

ვაჟთა ტურნირში ძლიერად თამაშობს მსოფლიო ექს-ჩემპიონი მ. ტალი, მას 8-დან 6,5 ქულა აქვს და მეტოქეებს 2 ქულით უსწრებს. პ. ნიკოლიჩს (იუგოსლავია) 4,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ა. ვაისერს, ს. დვოირისს, ო. რომანიშინს — 4,5-4,5, ე. გელერს — 4 (1).

VIII ტურში ტალმა პირველი მარცხი აგემა რომანიშინს. მანამდე მან სძლია ლ. ფსახისსა და ლ. ფტაჩნიკს (ჩეხოსლოვაკია).

გაიმარჯვეს მასპინძლებმა

ქუთაისში დამთავრდა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკის № 1 სკოლის (დირექტორი კ. გონაძე) გუნდური პირველობა ჭადრაკში, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა. მონაწილეობდნენ ქუთაისის (სამი), სამტრედიის (ორი), გორის, ცხაკაიისა და წულუკიძის გუნდები. 40 თანრიგოსან მოჭადრაკეს შორის იყვნენ ოსტატები ც. ქასოშვილი (გორი), თ. მესხი (ქუთაისი) და 10 ოსტატობის კანდიდატი.

უძლიერესის სახელი მოიპოვა ქუთაისის-I გუნდმა (ც. შავგულიძე, თ. მესხი, ზ. ფხაკაძე, ე. ინანეიშვილი, ნ. ხარლამიდი. მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თ. ხარლამიდი) — 26 ქულა 35-დან. ქუთაისელებმა ყველა შეხვედრა მოიგეს. II ადგილი წილად ხვდა სამტრედიის-I (მწვრთნელი მ. არჩვაძე) — 24 ქულა, მესამე — ქუთაისის-II გუნდს (მწვრთნელი ა. რაზოვსკი) — 23.

ი. თავართქილაძე.

● შაში

ჩემპიონატი ზღვის პირას

ბათუმში დამთავრდა ნორჩ მოშაშეთა რესპუბლიკური პირველობა რუსულ შაშში. შეჯიბრება საქართველოს განათლების სამინისტრომ ჩაატარა. უძლიერესის სახელისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის, ბათუმის, სამტრედიისა და ქობულეთის მოზარდები.

ჭაბუკთა ჩემპიონატში გაიმარჯვა ოსტატობის კანდიდატმა, 14 წლის იმედო შანიძემ (სამტრედიის რაიონი, სოფ ქვაყუდი), რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში სძლია ოსტატობის კანდიდატ ბ. ენიკოლოპოვს (თბილისის 36-ე საშუალო სკოლა) და 11 შესაძლებლიდან 11 ქულა მოაგროვა. ენიკოლოპოვმა 9,5 ქულით II ადგილი დაიკავა. III ადგილი წილად ხვდა 13 წლის მ. კრავეიშვილს (სამტრედიის რაიონი, სოფ. კულაში) — 8.

გოგონათა შეჯიბრებაში ჩემპიონის სახელს ერთმანეთს 4 მოშაშე ეცილებოდა. საბოლოოდ პირველობა დაისაკუთრა 12 წლის ე. ჭავჭავაძემ (თბილისის 52-ე საშუალო სკოლა) — 9,5 ქულა. ნიჭიერმა გოგონამ წლეულს უკვე ორჯერ ისახელა თავი — პირველი ადგილები დაიკავა „შაში-საოცრების“ საქალაქო გათამაშებაში და ასუჯრიან შაშში დედაქალაქის ახალბედათა შორის, სადაც პირველთანრიგოსანიც გახდა.

II-III ადგილები გაიყვეს ლ. ღირდალაძემ (სამტრედიის რაიონი, სოფ. კულაში) და ე. ღვინაძემ (თბილისის მე-12 საშ. სკოლა) — 9-9. ამ სამმა მოშაშემ პირველად შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმა.

შეჯიბრების საზეიმო დახურვაზე გამარჯვებულ ნორჩ მოშაშეებთან ერთად დიპლომებით დაჯილდოვდნენ მათი მწვრთნელებიც ა. გრიგორია (სამტრედია) და ვ. ინწკირველი (თბილისი).

აღსანიშნავია ქობულეთელ მოშაშეთა წარმატება. ისინი შეჯიბრებისათვის მოკლე დროში მოამზადა მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულმა საქართველოს ჩემპიონმა ასუჯრიან შაშში, ოსტატობის კანდიდატმა მანანა ვერულიძემ. მისი აღზრდილებიდან ვ. ქათამაძე პირველთანრიგოსანი გახდა.

ჩემპიონატი საუცხოოდ იყო ორგანიზებული. ნორჩმა მოშაშეებმა ბევრი მეგობარი შეიძინეს, გაეცნენ დელფინარიუმს, ბოტანიკურ ბაღს და სხვა ღირსშესანიშნაობებს.

ი. ვარდოსანიძე.

• • •

სურათზე: ნორჩი ჩემპიონები ი. შანიძე (მარცხნივ) და ე. ჭავჭავაძე.

ნ. ანასტასიევის ფოტო.

● თანამედროვე ხუთჭიდი

ვაჟები და ერთი ქალიშვილი



თბილისის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა ქალაქის პირადი პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში. ასპარეზობაში, ვაჟებთან ერთად, მონაწილეობდა „დინამოს“ თანამედროვე ხუთჭიდელთა სპორტსკოლის აღსაზრდელი ეთერ გონგაძე. მან კარგად იასპარეზა ცხენოსნობაში, სადაც 1000 ქულა მოაგროვა და დამსახურებულად მოიპოვა III ადგილი.

ამ სახეობაში პირველი იყო დინამოელი ვ. სიროტკინი (1060 ქ.), ხოლო მეორე — ბურევესტნიკელი ვ. იაგორაშვილი (1016 ქ.).

ვ. იაგორაშვილმა კარგად იასპარეზა ფარიკაობაში და 1161 ქულით I ადგილი დაიკავა. იგი პირველი იყო აგრეთვე ცურვაში (1192 ქ.) და 3000 მეტრზე რბენაში (1196 ქ.), მეორე — ტყვიის სროლაში (956 ქ.).

ტყვიის სროლაში იმარჯვა ბურევესტნიკელმა პ. კილაძემ (1022 ქ.).

საბოლოოდ თბილისის ჩემპიონი გახდა ვ. იაგორაშვილი (5461 ქ.) (მწვრთნელი — ი. ლუცენკო). მეორე იყო ვ. სიროტკინი (5018 ქ.), ხოლო მესამე — მ. დოლმაზოვი (4944 ქ.).

გ. დოლენჯაშვილი.

• • •

სურათებზე: ვ. იაგორაშვილი; 3000 მეტრზე რბენის დისტანციაზე; ეთერ გონგაძე, ვ. სიროტკინი.

ავტორის ფოტოები.

„კალათბურთის რეკორდები“

ასეთი სათაურით სოფიის გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ ათავსებს საინტერესო წერილს.

კალათბურთის ისტორიაში საჯარიმო სროლები ყველაზე უკეთ გამოიყენა ჭეკონსვილელმა ტედ მარტინმა. 1977 წლის 25 ივნისს მან ზედიზედ წარმატებით შეასრულა 2036 საჯარიმო. 1979 წლის 28 ივლისს მან 10 წუთის განმავლობაში 239 სროლა გამოიყენა.

სხვა რეკორდები: 1975 წლის 31 მაისიდან 1 ივლისამდე 13116 სროლიდან ფრედ ნიუმენმა 12874 გამოიყენა, რაც 98,15 პროცენტს შეადგენს. მასვე ეკუთვნის ცოტა არ იყოს, უცნაური რეკორდი: 1978 წლის 5 თებერვალს თვალები აუხვიეს, მაგრამ ამის მიუხედავად, 88-ჯერ მოათავსა ბურთი კალათში.

კალათბურთის ისტორიაში ყველაზე ტანმაღალი მოთამაშე გახლავთ სულეიმან ალი ნაშნუში, რომელიც ლიბიის ნაკრებში 1962 წელს თამაშობდა. მისი სიმაღლეა 244 სმ.

ყველაზე უფრო ხანგრძლივი მატჩი კალათბურთის ისტორიაში გათამაშდა ავსტრალიაში, 1979 წლის 18 მაისიდან 21 მაისამდე. იგი 89 საათს გაგრძელდა.

კალათბურთის ისტორიაში მაყურებელთა დასწრების რეკორდი ასეთია: 1951 წელს დასავლეთ ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე „ჰარლემ გლობტროტერსის“ მატჩს დაესწრო 75 ათასი გულშემატკივარი. რაც შეეხება მაყურებელთა რეკორდს დახურულ შენობაში, იგი დამყარდა 1968 წელს. ჰიუსტონის სპორტულ კომპლექსში ადგილობრივი უნივერსიტეტისა და „უკლას“ მატჩს დაესწრო 52693 მაყურებელი.

„ჰარლემ გლობტროტერსს“ ერთი მიღწევაც ეკუთვნის: იგი ხუთივე კონტინენტის 94 ქვეყანაში ყოფილა, მის მატჩებს თვალს ადევნებდა 80 მილიონი მაყურებელი.

● ხელბურთი

ბუდაპეშტში დამთავრდა ხელბურთელ ქალთა გუნდების მსოფლიოს მერვე ჩემპიონატი. ბოლო მატჩში ჩეხოსლოვაკიელებმა დაამარცხეს სამხრეთ კორეის გუნდი 20:19 (13:9). საბოლოოდ ფინალში გუნდები ასე განლაგდნენ:

გათამაშების ცხრილი

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	4	0	1	86—81	8
უნგრეთი	3	1	1	99—89	7
იუგოსლავია	3	1	1	102—95	7
გდრ	2	2	1	99—89	6
ჩეხოსლოვაკია	1	0	4	83—98	2
სამხ. კორეა	0	0	5	112—129	0

მომდევნო ადგილებზე არიან: ნორვეგია, რუმინეთი, გფრ, ბულგარეთი, აშშ, კონგო.

● მაგიდის ჩოგბურთი

მოსკოვში დამთავრდა გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ პრიზის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში. ვაჟთა გუნდების ფინალში შვეციის ნაკრებმა მოუგო სსრ კავშირის ნაკრებს — 5:0. მესამე ადგილი დაიკავეს ჩეხოსლოვაკიელებმა.

პირად ტურნირში, რომელშიც 8 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, გაიმარჯვეს საბჭოთა ჩოგბურთელმა ნ. ანტონიანმა და შვედმა ხ. იეპსონმა. ერევნელმა სპორტსმენმა დაამარცხა ბაქოელი ვ. პოპოვა 2:0. მესამე ადგილი დაიკავა დუშანბელმა ი. კოვალენკომ. შვედმა სპორტსმენმა ფინალში ანგარიშით 2:0 დაამარცხა თანამემამულე ი. პერსონი, მესამე ადგილზეც შვედი ი. აკესონი გავიდა. წყვილთა შეჯიბრებაში უძლიერესები იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები პოპოვა და ანტონიანი, ხოლო ვაჟებში კიეველი მ. ოვჩაროვი და ლვოველი ა. სტროკატოვი.

შერეულ წყვილთა ასპარეზობაში ყველას აჯობეს კრასნოდარელმა ი. პოდნოსოვმა და პოპოვამ.

● ფრენბურთი

ჰააგაში ცსკა-ს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალურ მატჩში ორჯერ დაამარცხა ჰოლანდიის გუნდი „სტარლიფტი“ (3:1 და 3:0) და შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე გავიდა.

ბორგი: „ერთი მიზანი მაქვს“

ცნობილმა შვედმა ჩოგბურთელმა ბიორნ ბორგმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს —მსოფლიოში კვლავ უძლიერესი გახდეს.

ბორგმა, რომელსაც ჟურნალისტები „აისბერგს“ უწოდებენ, თქვა, რომ 1983 წლიდან გაცილებით მეტს ითამაშებს, პრაქტიკულად არ გამოტოვებს არც ერთ დიდ შეჯიბრებას, სწორედ ისე როგორც კონორსი, ლენდლი ან მაკინროი იქცევიან.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები —93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435

უე 09532